 პარასკევი, 21 სექტემბ. 1907 წ.

94

წელიწადი პირველი — № 268

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიდება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია [illegible] ბეჭდავს მცირე [illegible] და [illegible] რედაქცია არ ინახ[ავ]ს. [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

თავ. ევგენი ერმილეს ძე ნიჟარაძე და თავ. თომა გიორგის ძე ერისთავი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს პირველი—მეუღლისა და მეორე—ქალიშვილის

კნეინა თამარ თომას ასულის ნიჟარაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 22 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფელ მაღლაკში. (1—ფ—1)

მღვდ. მიხეილ და ეკატირინე, მღ. ალექსანდრე და ნინო ვარდიევები, ვასილ მიხაილის ძე ვარდიევი, ქვრივი პელაგია გულისაშვილისა და თ. დავით და თამარ ყარალაშვილნი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ 25 სექტემბერს გარდახდილი იქმნება ს. ენისელში, [illegible] მაზრაში, ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ელენეს

სულის მოსახსენებლად. (1—326—1)

კვირას, 23 ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის

ლუარსაბ ჟეიმურაზის ძის ლოლუას

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის და ეკატერინე და სიძე დავით აბდუშელიშვილები შვილებითურთატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (3—325—2)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (63)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ.—00)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—15)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—13)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კირა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—14)

ექიმი
**ივ. გომართელი**
პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—9)

**კბილის ექიმი**
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—5)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—3)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—181)

# სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ბაგდიტოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ანპილოვი**.—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ბოგუცკი**—შინ. გიპნოტ. ყოველდღე 4—5 ს.
**გორადლევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. სიფილ. ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**გნუჩკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშტროევა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**პივარსკი** — | **ჩუდნოვსკი**— | კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—35)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

# „ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, **აგრეთვე** საზავხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საჯარო საქმით. ვალად ვრაცხო თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ტუეპულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდიანოვის შენობაში, № 11-ში, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—ნ.—8)

მოითხოვეთ საუკეთესო

# ფისქვ. ლ. ს ქვები

ამხ. **„გეორგია“** ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—7)

**იბეჭდება** და მალე დარიგდება გასასყიდად **ახალი დასურათებული გამოცემა** «ბაქოს ქართ. ამხ. **„კამკამისა“**, შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ:

# ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა

(კრებული იმ ნარჩევ წერილებისა, დეპეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულა მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჯერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верійскій спускъ д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში,—ს. ფირცხალავას.

ვთხოვთ აგრეთვე იმ პირთ, რომელთა უკვე წარმოთქმული სიტყვები ჯერ არ დაბეჭდილა გაზეთებში, მოგვაწოდონ ამ კრებულში მოსათავსებლად. (8—ნ.—8)

ცნობილი

# ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“
სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ ნაირ ქალის ტანისამოსს**, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.
სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.
გამგედ სამკერვალოისა არიან:
უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—ნ.—13)

# სამასწავლებლო

ინსტიტუტის
მოწაფე ამზადებს და წრთვნის ბავშვებს საშ. [illegible] სასწავ. შესვლად კლასამდის.
თანახმაა სასყიდლად ბინა და სადილი მიეცეს.
ადრესი: ნემეცკაია ქ. № 1, ბინა № 18 (4—324—2)

# სახალხო უნივერსიტეტი

ქართული სექცია
**მოსამზადებელ კურსებისა გაიხსნა 18 სექტემბერს.**
მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი და უცოდინარნიც 16 წლისაზე არა ნაკლებნი ორისავე სქესისა.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ დღე, საღამოს 5—7 საათამდე გოგოლის ქუჩაზე, კუკიის მეორე სამოქალაქო პირველ დაწყებით სკოლის სადგომში, ხოლო დილით 11—2 საათამდე „ისარი“-ს რედაქციაში. (4—უ.—1)

კვირას, 23 სექტემბერს,
**სა ავად-აზნაურთ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ „პალერმოს“ ბაღში**
გაიმართება

# სეირნობა

დაუკრავს მუზიკა, საზანდარი. იქნება აგრეთვე

# ლ[ა]ტო

სეირნობა გაიმართება კნ. სალომე ანდრონიკაშვილის მეთაურობით. (2—უ.—2)

საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული
პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ ტფ. საზოგადოებას, რომ გავლით ამ ქალაქში დავრჩი სულ ცოტა ხანა „ვერსალის“ სასტუმროში, № № 5 და 6.

# მისანი

(მარჩიელი)
ანასტასია იურიევის ასული კონსტანტინიდი შეუცდომლად ცნობილობს ხელის გულზე კაცის ყოველივე წარსულს, აწმყოს და მომავალს. **რჩევის ფასი 1 მან. და მოსწავლეთათვის 50 კაპ.** ვღებულობ დილის 9 საათ. შუადღის 1 ს-მდე და 3 საათ. 6 ს-მდე. (5—520—5)

# ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

ტფილისი, 21 ენკენისთვე.

კა-დეტების პარტია გულმოდგინეთ შესდგომია საკანონმდებლო მუშაობას. პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, პარტიის ც. კ—ს დაუარსებია პეტერბურგსა და მოსკოვს მრავალი კომისია სხვა და სხვა კანონპროექტების შესამუშავებლად. კომისიებში მონაწილეობას იღებენ პარტიის ყველა ცნობილი მოღვაწეები, რომელნიც ამავე დროს რუსეთის გამოჩენილი მეცნიერნიც არიან, როგორც მაგალითად: მურომცევი, მილიუკოვი, ძმანი გესსენები, ნოვგოროდცევი, შჩეპკინი, ნაბოკოვი, კოტლიარევსკი, კორნილოვი, ჩუპროვი, კუტლერი და სხვანი. კომისიებმა უნდა დაამზადონ სხვა და სხვა კანონპროექტები და აგრეთვე ყოველს პროექტს შესაფერისი ვრცელი განმარტებითი მოხსენება უნდა წარუმძღვარონ.

ჩვენ არ ვფიქრობთ და, როგორც სჩანს, არც ც. კ-ს ჰგონია, რომ შემუშავებულს პროექტებს ახლო მომავლისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნეს, ე. ი. რომ ეს პროექტები მომავალმა სათათბიროშ დააკანონოს; მაგრამ ის კი ცხადია, რომ მათ, ასე ვთქვათ, დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექნებათ საზოგადოებრივ აზრის მომზადების საქმეში და, უეჭველია, უფრო უკეთეს მომავალში პრაქტიკულადაც გამოდგებიან, როცა ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა შეუდგება რუსეთის წეს-წყობილების განახლებას. რუსეთის საუკეთესო იურისტებისა და გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეების მიერ შემუშავებული პროექტები აუცილებლად დიდ გავლენას იქონიებენ რეფორმების განხორციელების საქმეზე. [illegible] დემოკრატიული პრესსა გულმოდგინედ თვალყურს ადევნებს კადეტების მოღვაწეობის ამ მხარეს...

სხვათა შორის, ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა კომისიამ, რომლის საგანი ერთობ საინტერესოა საზოგადოთ ყველა განაპირა ქვეყნებისათვის. ჩვენ ვგულისხმობთ კორნილოვის თავმჯდომარეობით შედგენილს კომისიას, რომელსაც დაევალა მოამზადოს კანონპროექტი და მოხსენება განაპირა ქვეყნებში საერობო დაწესებულებათა დაარსების შესახებ.

განაპირა ქვეყნებისათვის საზოგადოთ და საქართველოსთვის კერძოთ ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია: იგი არაა უბრალო ადგილობრივ თვითმართველობის შემოღების საკითხი, იგი ბევრად უფრო ფართოა, რადგან სამეურნეო საგნის გარდა პოლიტიკურ მიზანსაც უნდა შეიცავდეს. ასე უყურებს განაპირა ქვეყნების მოწინავე საზოგადოება ამ საკითხს. გაიხსენეთ ციმბირის და პოლონეთის დემოკრატიულ ჯგუფთა საერობო პროექტები, ამ ორი წლის წინად შედგენილნი. ისინი უმთავრეს ყურადღებას აქცევენ საოლქო ერობის შემოღებას, რომელსაც ხმა უნდა ექნეს განაპირა ქვეყნის შესახებ კანონმდებლობის საქმეში. პოლონელ და ციმბირელ ინტელიგენციისათვის მომავალი ერობა დასაწყისია, ელემენტალური ფორმაა ამ ქვეყნების მომავალ ავტონომიისა; ამიტომ მათს პროექტებში განსაკუთრებულად შემუშავებული და დასაბუთებულია პოლონეთისა და ციმბირისთვის საოლქო ერობის დაწესების საჭიროება... თუ მკითხველთ ახსოვთ, ჩვენშიაც ამ ორი წლის წინად ერთმა ჯგუფმა სცადა ამგვარისავე საერობო პროექტის შემუშავება საქართველოსთვის კერძოთ და ამიერ-კავკასიისათვის საზოგადოთ. აქაც სახეში ჰქონდათ, რომ მომავალი ადგილობრივი თვითმართველობა ბევრად უფრო ფართო უნდა იქნეს, ვიდრე შიდა რუსეთის მომავალი გადემოკრატებული ერობა იქნება...

კორნილოვის კომისიას, როგორც სჩანს, თვითონვე აქვს გათვალისწინებული, რომ განაპირა ქვეყნების მომავალ ერობას განსაკუთრებული ხასიათი უნდა ჰქონდეს და ამიტომ დაუდგენია, მიიწვიოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მცოდნე პირები და განაპირა ქვეყნების წარმომადგენელნი. საჭიროა ამიტომ ჩვენც მივეგებოთ კომისიის სურვილს და მივაწოდოთ როგორც საჭირო მასალა, პროექტი და მოსაზრებანი, ისე მცოდნე პირებიც, რომელთ შეუძლიათ ხსენებული პრინციპი დაიცვან და ჩვენთვის სასურველთ მიმართულება მისცენ კომისიის მუშაობას განაპირა ქვეყნებისთვის ერობის პროექტის შესამუშავებლად. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგში არიან ქართველი იურისტები და მოღვაწეები (ერთი მათგანი, სახელდობრ ზ. დ. ავალიშვილი, სპეციალისტია ადგილობრივ თვითმართველობის საკითხში), რომელთა მონაწილეობა ხსენებულს კომისიაში სასარგებლოც და სასურველიც იქნება ჩვენთვის...

გარდა ამ კომისიისა, მუშაობას შესდგომიან აგრარული, სასამართლოს, გადასახადების და სხვა კომისიებიც, რომელთაგან ზოგი წინადაც არსებობდა და ახლა განაგრძობს მუშაობას, ზოგიც ახლა იწყებს. ამათ მუშაობასაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა და მეტი არ იქნება მათაც მიეწოდოს ის მასალები და ცნობები, რომელიც ჩვენს მოღვაწეებს აქვთ დამზადებულ-შემუშავებული.

## არჩევნები

**ქუთაისი.** არჩევნები სავსებით გამოირკვევა 22 ამ თვეს, როცა გლეხთა რწმუნებულნი, მემამულენი და ქალაქები აირჩევენ ამომრჩევლებს, მაგრამ მანამდისაც შეიძლება ითქვას, [illegible] მარჯვებისა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაჭისა და ოზურგეთის მაზრებს, სადაც მემამულეთა კურია აირჩევს ს. დ., არა სოციალ-დემოკრატი იქნება 18. ამას თუ მივუმატებთ ზუგდიდის წარმომადგენელს, რომელიც ს. დ. მომხრე არ იქნება, მოწინააღმდეგეებს ეყოლებათ 19 ამომრჩეველი 38 კაციდან, ე. ი. ამომრჩეველთა რიცხვი სანახევროდ გაიყოფა.

რაჭის მაზრაში ს. დ. იმედი აქვთ, რომ მემამულენი მათ მომხრეებს აირჩევენ და აი რა მოსაზრებით. წვრილ მემამულეთა კრებამ აირჩია სამი ს.-დ. ამათ მსხვილ მემამულეებთან ერთად უნდა აირჩიონ ორი ამომრჩეველი და რადგან მთელ რაჭის მაზრაში აღმოჩენილა სულ სამი მემამულე, რომელნიც წლიურად 30 მანეთზე მეტს გადასახადს იხდიან, ამიტომ მაზრის მემამულეთა კრებას შეადგენს სულ ექვსი კაცი, თუ ყველა მსხვილი მემამულე გამოცხადდა, ს. დ. იმედი აქვთ, რომ ყველანი არ გამოცხადდებიან და მათი კაცი გავა.

ოზურგეთის მაზრის შესახებ თუმცა ნამდვილი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ როგორც გვატყობინებენ, წვრილ მემამულეთა კრებაზე იმდენი რწმუნებული აურჩევიათ ს. დ. მომხრე, რომ სამაზრო კრებაზე უმრავლესობა მათი იქნება.

საეჭვოა ს. დემოკრატებისთვის ფოთის არჩევნები. სიებიდან წრეულ გამოირიცხა ბევრი მომხრე ს. დემოკრატებისა და ამ გარემოებას შეიძლება დამარცხება მოჰყვეს.

**ბათუმის ოლქი.** ბათუმის ოლქში წვრილ მემამულეთა და წვრილ ვაჭარმრეწველთა კრებამ 15 ენკენისთვეს წრმუნებულებათ აირჩია ბათუმელი ქართველი მაჰმადიანი მამედ ბეი აბაშიძე, მემამულე თ-დი არჩილ აბაშიძე და ბათუმელი ვაჭარი ვლადიმერ რუხაძე. აბაშიძენი პროგრესისტები არიან, ხოლო რუხაძე უპარტიო.

**ბორჩალო.** ბორჩალოს მაზრის წვრილ მემამულეთა კრება უნდა მომხდარიყო 15 ენკენისთვეს, მაგრამ კრებაზე არც ერთი კაცი არ მოვიდა, ამიტომ არჩევნები გადაიდო.

## რაც უნდა მომხდარიყო.

გახსოვთ, ამ ორის წლის წინად რომ ამბები ხდებოდა? გახსოვთ, სხვათა შორის, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის რიხიანი კრება? ამ სტრიქონების დამწერი შემთხვევით დაესწრო უკანასკნელ კრების დასასრულს და რამდენიმე მხურვალე სიტყვა მოისმინა.

ღმერთო, რა არ გავიგონე!

ბიუროკრატიის უსასტიკესი გმობა, თვითმპყრობელ მთავრობის სრული უარყოფა, მოთხოვნა დემოკრატიულ წესწყობილებისა მთელის რუსეთისათვის, მოთხოვნა ადგილობრივ დემოკრატიულ პარლამენტისა საქართველოსათვის! ერთის სიტყვით, ბრწყინვალე წოდების ოფიციალური ორგანო—თავად-აზნაურობის კრება ისეთ რადიკალურ მიმართულებისა გამოდგა, რომ ფას მასთან კადეტების პარტია და რუსის რადიკალები.

ხელმწიფესთან გასაგზავნ ადრესში აღნუსხული იყო ყველა ეს მოთხოვნები. ამბობდნენ, ადრესი და მოთხოვნები ტფილისში, დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში დარჩა სტოლის უჯრაში, რადგან მარშლები შეშინდნენ და ვერ გაჰბედეს დანიშნულებისამებრ გაეგზავნათო.

არ ვიცი, გაგზავნეს თუ არა, მაგრამ ჩვენებურმა სოც.-დემოკრატებმა დიდ საგიტაციო მასალად გამოიყენეს თავად-აზნაურობის დადგენილებანი ფედერალისტებისა და ავტონომიის წინააღმდეგ, გულუბრყვილო, გამოუცდელ ხალხს დიდის რიხით ეუბნებოდნენ: ავტონომია თუ კარგი იყოს, ეს თქვენი შეურიგებელი მტრები—თავადები და აზნაურები რად მოითხოვდნენო; ცხადია, მათთვის არის კარგი ეს ავტონომია და ფედერალისტებიც რომ თხოულობენ მას, ეს იმის ნიშანია, რომ მათი პარტია თავად-აზნაურობის პარტია არისო.

გასავალიც ჰქონდა ს.-დემოკრატების ამ ქადაგებას, რადგან ჩვენებური გლეხი ვერ მიმხვდარიყო, საქმის ნამდვილ მდგომარეობას: მისთვის საკმარისი იყო, რომ ავტონომიას თავად-აზნაურობაც თხოულობდა და გაიძახოდა ძირს ავტონომიაო.

ცხადი იყო, რომ თავად-აზნაურობა ხსენებულ კრებაზე გარეშე პირობების გავლენის ქვეშ მოქმედებდა, რომ თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, შეცდომით თუ მოისურვებდა დემოკრატიულ პარლამენტს საქართველოსათვის, რადგან ეს პარლამენტი აუცილებლად გულისხმობს წოდების მოსპობასა და გაუქმებას.

და რომ ეს შეცდომა და თავის მოტყუილებაა, წრევანდელმა კრებამ დაამტკიცა: ამ დღეებში თავად-აზნაურობის საგანგებო კრება იყო სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლების ასარჩევად და დემონსტრატიულად აირჩიეს დ. მელიქიშვილი. დ. მელიქიშვილი პრინციპიალური შეურიგებელი მოწინააღმდეგეა როგორც ავტონომიისა, ისე მთელ განმანათლებელ მოძრაობისა. თავად-აზნაურობის კრებამ ნახა თავის ინტერების ნამდვილი გამომხატველი ცენტრალისტი და ნამდვილი აზნაური დაარჩია კადეც. არც ავტონომია უნდათ და არც დემოკრატიული წეს-წყობილება.

ეს არის, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები დაჰკარგვენ ერთ სააგიტაციო სიყალბეს ფედერალისტების წინააღმდეგ, მაგრამ არაფერია: მე რომ მაგათი ამბავი ვიცი, ახალ-ახალ სიყალბის შეთხზვა არ გაუჭირდებათ. **ჯ.**

## ახალი ამბავი

✦ **სოფელთა დაჯარიმება.** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ასი თუმნით დააჯარიმეს ახალციხის მაზრის შემდეგი სოფლები: ზ.ნავა, მლაშე, ზედუბანი, აპიეთი და დერცელი. ჰბრალდებათ ბოროტ-მოქმედთა დაფარვა,

✦ **გაზეთის დაკეტვა** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაჰკეტეს სომხური გაზეთი „არორი“. წაიღეს შრიფტიც.

✦ **სასამართლო.** შარშან ოქტომბერში, იარმუკაში გ. გუკასოვს რამდენიმე ქართველი შეუვარდა და მოსთხოვა 1000 მან. „ჯგუფისტთა“ სასარგებლოდ. გუკასოვმა ცივი უარი უთხრა. უცნობნი წავიდნენ და 16 ნოემბერს ხელმეორედ მივიდნენ მასთან. ალიაქოთის დროს ერთმა ჯგუფისტმა რევოლვერით მოჰკლა კარაპეტ გეურქოვი და მიიმალა. 21 ნოემბერს გუკასოვის დუქანში უცნობებმა შეაგდეს ყუმბარა, რომელმაც დასჭრა ნოქარი სოლ. ჯავახოვი. დეკემბერში განჯაში გუკასოვის ჩვენებით დაიჭირეს გურულები პან. თავართქილაძე და სვიმონ მორგულეიშვილი. სასამართლოში მოწმეებმა დაამოწმეს, რომ ორივე ბრალდებული ყუმბარის სროლის დროს ტფილისში არ იყო. ტფილისის საოლქო სასამართლოს კრებამ დაადგინა ეს საქმე მოსპოს.

✦ **ახალი გაზეთი.** ტფილისის გუბერნატორმა ყარამან ნინიძეს ნება დართო გამოსცეს ყოველ დღიური რუსული გაზეთი „ნაშ მირ“ (ჩვენი ქვეყანა).

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორელი ქრისტეფორე მუნტიკოვი, რომელსაც ჰბრალდება პოლიციელის ნუკრაძის და სულხან ღამბაროვის მკვლელობაში მონაწილეობა. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ: სამსონ გვარამაშვილს, ა. ნაზაროვს, გიორგი ზუბაშვილის დააჯარიმეს 15 მანეთით: სახლის პატრონები თავ. სუმბათოვი, ხან ალი'კეროვი, ახუნდოვი, ხ. ოჰანეზოვი, ვექილოვი, ტერ-კოსტა ტერ-არარატოვი, ჰუსეინ ბაგაროვი, ისმაილ ბაგაროვი და მირზოევი.

✦ **დაჭრა.** პოლიციის მე-7 ნაწილის მცხოვრებს მეორე გილდის ვაჭარს სერგო აპრიამოვს რამდენჯერმე წერილი მისვლია. უცნობებს მუქარით ფული მოუთხოვნიათ. რადგან მას უარი განუცხადებია, ჯავრის ამოსაყრელად 19 სექტემბერს ერთი ვიღაც წამოსწევია პეტრეპავლეს ქუჩაზე, ორჯელ დაუხლია რევოლვერი. დაჭრილის მორჩენა საეჭვოა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** გაიხსნა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის მოსამზადებელი კურსები. მიიღებენ 16 წლისაზე არა ნაკლებს ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთ და არა მცოდნეთ. კურსები მოთავსებულია გოგოლის ქუჩაზე, კუკიის მეორე სამოქალაქო სკოლის სადგომში.

✦ **პოლიტიკური საქმე.** გუშინ ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ნიკოლოოზ ბეგლარის ძე გელოვანისა. ჰბრალდებოდა საიდუმლო პოლიციის აგენტის გაიდის მოკვლა. ბრალდებულს სასამართლოში იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. მაჭავარიანი. სასამართლომ გელოვანი გაამართლა.

✦ **შრომის მოწესრიგება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ მისწერა ქალაქის ხელოსანთა მამასახლისს: რადგანაც საჭიროა ნორმალურ დასვენების საკითხის შემუშავება, 26 სექტემბერს ქალაქის გამგეობაში სხდომა იქნება და ამ სხდომისათვის მოიწვიეთ წარმომადგენელნი მექუდეებისა, მეწაღეებისა, მკერვალებისა, დურგლებისა, პარიკმახერებისა და სხვათაო.

✦ **ფულის გატაცება.** ტფ სასულიერო სასწავლებლის ხაზინადარს აკულიჩს 19 სექტემბერს ხაზინიდან გამოუტანია 600 მან. და შუადღის 12 საათზე სასწავლებელში წაუღია. აკულიჩს უკან გამოსდგომია ორი მცარცველი, წამოსწევიან ხაჩიკოვის სახლთან, შეუთრევიათ ეზოში, ამოუცლიათ ჯიბიდან 125 მან და მერე გაქცეულან.

✦ **პურის გაძვირება.** ტფილისში პური ძალიან გაძვირდა. გირვანქა პური მეორე ხარისხისა 6 კაპეიკამდე ავიდა. თუ ამ საქმეს არა ეშველა რა, ღარიბ მცხოვრებთ ძალიან გაუჭირდებათ.

✦ **დაპატიმრება.** 18 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს გრიგორ სარუხანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი და 17 პატრონა. დაპატიმრებული აღმოჩნდა ჯარის კაცი.

✦ **ახალი ეპისკოპოსი.** სინოდო კანტორამ ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხებენ ნოვოჩერკასის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს დავითს (კაჭახიძეს).

✦ **ხოლერა.** როგორც სადგურ აჯიქაბულიდან გვატყობინებენ, 18 სექტემბერს იქ ხოლერით გარდაცვლილა კონდუქტორი მიხაილოვი.

✦ საგუბერნიო გამგეობის მდივანი ათამ ბებუთოვი ზირვედი ენკენისთვიდან დაინიშნა გუბერნატორთან საგანგებო საქმეთა მოხელეთ.

✦ ტფ. მაზრის სოფელ ენაგეთის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო თავისუფალი სახნავ-სათესი ადგილები მიეცეთ.

✦ ახალციხის მაზრის სოფელ არალის გლეხობას შუამდგომლობა აღუძრავთ ნამესტნიკის წინაშე, რომ რომელსამე მაზრაში თავისუფალი სახელმწიფო სახნავ სათესი და საბალახო ადგილები მიეცეთ.

✦ 22 სექტემბრისათვის, სადამოთი ტფ. გენერალ-გუბერნატორის ნებართვით, ზუბალაშვილის სახელობის სახ. ხლხო სახლში დანიშნულია კრება რუს ამომრჩეველთა კურიის.

✦ მივიღეთ ერთხმიანი სიმღერის გადობა „მწყემსი“, მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის რედაქტორობით გამოცემული, ნოტებზე გადაღებული მღ. ფ. კარბელაშვილის მიერ. ეს ნოტების წიგნი შეიცავს 23 გვერდს და ღირს სულ სამი შაური, რაც ნოტებისთვის ძალიან მცირე ფასად უნდა ჩაითვალოს.

✦ 13 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს მოქალაქე გიორგი მასიურაძე, რომელსაც ჰბრალდება პოლიციელის კამანდოვისათვის თოფის წართმევა. დაპატიმრებული გამოტყდა დანაშაულობაში და განაცხადა, რომ თოფი გადასცა სოლომონ აზიშარაშვილს.

✦ ამას წინად სიღნაღის მაზრის სოფელ კაკრეთის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო გადასახადების გადახდა სხვა, უფრო ხელსაყრელ, დროისთვის გადაედოთ, რადგან დაზარალებულან სეტყვით. აღნიშნული შუამდგომლობა გუბერნატორს გადაუცია სახაზინო პალატისათვის.

✦ გორის მაზრის სოფელ ნიაბის გლეხებმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მისცემოდათ წყლის მილის გასაყვანად; მიეცათ სესხად 700 მანეთი.

✦ 19 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს 13 წლის ბავშვი მამედ გასან სადიგზადე, რომელსაც უნდოდა ყალბი მანეთიანის გასაღება. ბავშმა განაცხადა, რომ ეს ფული გასასაღებლად გადმომცა სოლომონ კუსკისიანმაო, რომელიც დააპატიმრეს.

✦ თელავის მაზრის სოფელ ენისელის გლეხობას შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ.

## პრესა

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი „ჭეშმარიტი რუსი“ დიმიტრი აბაშიძე, რომელიც ორიოდე წლის წინად გააძევეს საქართველოდან, ეხლა თურქესტანში მოღვაწეობს და იქიდან უგზავნის წყევლა-კრულვას „ინოროდცებსა“ და „ტუზემცებს“. ამ გადაშენებულსა და გადაგვარებულ ანაფორიანს ერთ ეკკლესიის კურთხევის დროს წარმოუთქვამს „ჭეშმარიტად რუსული“ სიტყვა, რომელიც სმირეჩ. „ობლასტ. ვედ.“-შია დაბეჭდილი.

ჩვენმა მტრებმა გადასწყვიტეს რუსეთის სამეფოს დაქცევა და ამხანაგებად გაიხადეს რუსეთის ყოველ კუთხეში გაბნეული არა რუსი „ინოროდცები“. ამ უმადურთა და ურწმუნოთა დახმარებით მათ გარყვნეს გულუბრყვილო, გულკეთილი და გულ მშვიდი რუსეთის ერი. გაბოროტებული „ინოროდცები“ ნამდვილი მგლები არიან, მათ სათავეში ჩაუდგნენ იუ'ის მჭამებელთა ჩამომავალნი, რომელთაც განიზრახეს წაქცეულ რუსეთსა და რუსთა გვამებზე საკუთარ სახელმწიფოს აშენება, განიზრახეს მეუფე რუსის ხალხის გაჟყლეტა თავისი ჭუჭყიანი ხელებით და მათი დამონავება. მათ ჩაიცვეს ცხვრის ტყავები, რუსეთის ერს დაუმეგობრდნენ და ქვევიდან რუსეთის სახელმწიფოს ძირის გამოთხრა დაუწყეს. აგერ ოთხი წელიწადია, რაც თავგასული მტრები რუსის ხალხის მოსვენებას არ აძლევენ მას, უკვირთ რუსების ახალგაზდობის სიბეცე და დასტირიან მათ.

„ინოროდცები“ ისე გავიდნენ თავსა, რომ

ორჯერ გაკადნიერდნენ და ორჯერ შეურაცჰყვეს რუსეთის სახელმწიფო სათათბირო.

ჭეშმარიტ რუსებს—გერმანელ გრინგმუტს, მოლდაველ კრუშევანს, ბულაცელსა და სხ. მიემატა „ჭეშმარიტი რუსი“ აბაშიძე, რომელმაც არა რუსთა სიძულვილით უკიდურეს რუს შოვინისტებსაც კი გადააჭარბა. ეტყობა, რუსის ხალხს არა რუსთა „მონობისგან“ ისევ არა რუსები განთავისუფლებენ.

## ხოლერა

**სარატოვი.** ხოლერით ავად გახდა 4 კაცი. მაზრებში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხელახლა ავად არავინ არ გამხდარა. ძველთაგან გარდაიცვალა 1.

**ეკატერინოსლავი.** ნოვომოსკოვის მაზრაში 12-16 სექტემბრამდე ავად გახდა 3 კაცი, გარდაიცვალა 1.

**სამარა.** ქალაქში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2.

## ფელეტონი

### ილია ჭავჭავაძე,

**როგორც მგოსანი**

(შემდეგი*)

ამ რიგად, რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მგოსანი დაუკვირდა თანამედროვე საზოგადოებას, იმის ნაკლს, იმსენს, რომელიც წყლულად გადაჰქცეოდა საქართველოს, ბატონ-ყმობას და იმის შედეგს. იგი სცდილობს ყველა ამის ახსნას, დახასიათებას და დაფასებას. აწმყოში რომ ვერა ჰხედავს სანუგეშოს, ჰქმნის წარსულიდან უკვდავს სურათებს თავ-განწირულებისას. ეს ცალკ-ცალკე სურათები და ეპიზოდები, როგორც ის საგნები, რაზედაც მგოსნის საზოგადოებრივი გრძნობა და აზრი ჩერდებოდა, შეადგენდნენ ცალკ-ცალკე მასალას მგოსნის ცნობიერებაში რწმენისა და შეხედულების შესამუშავებლად. თუმცა ყველა ეს სხვა და სხვა დროს იწერებოდა, სხვა და სხვა დროს მოქმედებდა მგოსანზედ, მაგრამ მაინც სტოვებდა საზოგადო კვალს იმის ფიქრთა გრეხილში, რომელსაც იგი მუდამ თან ატარებდა. მგოსანში მუდამ იბრძოდა სხვა და სხვა აზრი. ეს გრძელი და მგოსნის გონების მაწუხებელი აწონდაწონვა მამულის შესახებ, მისის ბედის—ჰოს და არასი, მგოსანს დასურათხატებული აქვს თავის „აჩრდილ“-ში. „აჩრდილს“ ღრმა ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ იხატება მგოსნის მთელი სიცოცხლის სულის კვეთება; ის, რაც სხვა და სხვა დროს აწუხდება, აქ არის შეგროვილი; აქ ერთის თვალ შეხედვით, ერთბაშის დაფასებით გაზომილია ყველა ის, რაც კი აფიქრებდა მას, და ამ დაფასებაზედ არის დამყარებული მისი გადაწყვეტილება, მისი დანარჩენი მოქმედება. „აჩრდილი“ მყინვარზედ სდგას და იქიდან თვალს ადევნებს თავის მამულის სხვა და სხვა მხარეს: თერგს, არაგვს. არაგვს უძღვნის მშვენიერ ლექსს. შემდეგ იმის წინ იშლება მთელი საქართველო. აქ მგოსანი მოხუცის პირით ეუბნება ქართველს, რომ იგი მარად საქართველოსთან არის, რომ იგი სწუხს იმის მამულის ტანჯვის გამო. მაგრამ მოხუცი აწმყოთიც არ არის კმაყოფილი, იგი ამბობს:

> ვიცი, რომ შენცა გქონია ქვეყნის მადლი—თავისუფლება,
> ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი.
> და მესა შენსა დღეს არც-კი სწამს შენი აღდგენა.
> მას დაჰკარგვია ტანჯვა შორის შენდამი რწმენა
> და დაუგდიხარ ვით ტამარი გაუქმებული.
> ვიდრე მე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას
> და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
> ჭკვით არ კანსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
> იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული
> უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
> მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
> და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის
> ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.
> აქ არვის—დიდსა, თუ პატარასა
> ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.

მოხუცი ეძებს გმირს, რომელმაც უნდა განაახლოს და აღადგინოს მამული და, ვერ ჰპოვებს, იგი ამბობს:

> მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
> რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
> იგი აღარ გყავთ... მის მღვდლანი
> ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა...
> გმირის დამბადი დიდი საგანი
> თქვენში სპობილა და წარწყმედილა!

თვალყურს ადევნებს რა მოხუცი მთელს საქართველოს ცხოვრებას, დაასკვნის, რომ თუმცა აქ-იქ ჰკრთის ღვთის ნაპერწკალი,

> ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
> შეებრძვის და არ ემორჩილება,
> მაგრამა ლალვა და შური მტრობა
> იმ ზოგთა შორის ღრმად ჩანერგილა
> ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
> აღმვრისა უმალ გაცუდებულა.

აქ იწყება მთელი რიგი სურათებისა:

> აგერ უფალი და მისი მონა!
> თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს მნელსა
> და რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
> უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
> და ამით ხარჯსა ქრთსა—ორად ჰზდის.
> მონამ მწუხარედ გულს გაიდიმა
> უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
> და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა,
> მაგრამ ქვა არის ბატონის გული!

მონა სდგას და ევედრება, თან გულში ჰფიქრობს: ვიშ ჩემი ბრალი!

> რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
> ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
> ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
> დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
> დარში, ავდარში ცის-ქვეშე დგომა,
> ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა,
> თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
> მარტო ბატონის თვალსა აზარებს
> და თქვენ, ცოლ-შვილო, კიარას გარგებს.
> ვაიმე, ბედ-კრულს რაღა დამრჩება,
> რომ ვაგახარო ცოლ-შვილის თვალი?
> ვინა შრომობდა და ვინა მკეფა,
> ღმერთო, სად არის აქ სამართალი!
> შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
> დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
> ვინ იცის, სიდამ სად გაგყიდიან
> უწმინდურისა ხელითა ჰსთხრიან
> დედისა გულში უკეთეს გრძნობას,
> ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
> თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
> სილამაზე და მშვენიერება,
> მონავ ჩაგრულო, ვითა შენს გულსა
> სასიხარულოდ მგე ექმნება?
> ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
> ნამუსს მოუკლენ შეუბრალებლად,
> უბრალო გულში ღვარძლს ჩაასხმიან
> გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად,
> უმანკო პირზედ შენს ტურფა ქალსა
> გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა.
> . . . . . . . . . . . . .
> და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად
> გველის წიწილად შენ გამჩენოდი,
> რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
> შენ, შვილო ჩემო, არ გამსდომოდი!

მაგრამ მგოსანს სწამს და ათქმევინებს მოხუცს, რომ

> შრომა, აწ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი,
> მმარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
> ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
> და დასამსხვრევად გამზადებულა.
> შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
> მლევა მოსილის ამ საუკუნის,
> კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
> მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
> ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
> განახლებისა გრიგალის ქროლვას,
> ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
> ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
> და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
> შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
> და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
> ესე ქვეყანა—კვლავ აყვავდება.
> შრომის სუფევა მოვა მაშინა
> და განმტკიცდება სოფელსა შინა
> კაცთ-მოყვარეობის სახიერებით.
> ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
> თანასწორადა მინიჭებული.
> მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
> ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
> ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
> კაცთ-მოყვარება და სათნოება.

შემდეგ მგოსანი ადარებს დიდ-კაცის განცხრომას საწყალ მოძმის სასოწარკვეთილებასთან. იგი ამბობს, რომ მდიდარი არ შეებრძვის ბედსა.

> რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
> როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?
> აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
> მოძმეთ ატყუებს, რომ ჰყიდის ნივთსა...
> აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—
> რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
> ამა ერისა სულის აღზრდანი,
> რა რიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ,
> სად არის სიტყვა დიდის სწავლისა
> სიყვარულისა და სამართლისა?!

შემდეგ მოხუცი დაჰხედავს რა ტფილისს, დაინახავს, რომ იქ ქართველური არაფერია, რომ იქ „დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას“. უფრო სამწუხარო სურათს წარმოადგენს მცხეთა, ეს—დედა ქალაქი საქართველოსი. ყველა ნგრეულა და მცხეთა „აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“. შემდეგ თვალს გადაავლებს წარსულსაც. აქ იწყება მოკლე სურათები წარსულის ცხოვრებისა. დედანში ზოგი ადგილი ანუ სურათი გაშვებულია, ალბად ცენზურის გამო. წარსულის მოკლე მიმოხილვას მოხუცი ამბობს:

> ყველა წამხდარა, ის ღონე და ის ძლიერება,
> მტვრად გარდაქცნილა აზოვანი იგი ცხოვრება,
> როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
> თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავად აღმდგარსა?—

*) იხ. „ისარი“ № 189.

...ჩვენთვის მისი სიდიადე, მისი მადლი-... ფიზიკური აუცილებლობაა, ...ავანი, თუ გვინდა იგი კარგად და-... მისი თვისებანი გარკვევით ყო-...ხრივ შევამჩნიოთ, თვალთა-ხედვის ...რ მანძილზე უნდა მოათავსოთ. მო-...ი და იდეურ ფაქტთა დასაფასე-... კი ეს მანძილი უდრის შესაფერ ...შესაფერ ხანს. შეგვიძლია კი ირა, ...არა გვაქვს მსჯავრი დავსდოთ იმ ...იმ მადლიან ადამიანის ღვაწლს, ...საც ამ მადლისათვის მადლობის ...გულში ტყვია დავეცით, შუბლი ...რიტეთ და ამ ნახვრეტიდან ერის ...ა—ტვინი ვადინეთ, ეს ტვინი, რო-... ორმოცდა ათი წლის განმავლობა-...სათვის მადლს შფენდა, უგვანოთ ...გათელილ მტვერში ვანთხიეთ და ამ ...ში გავთქირეთ. ჩვენ დღეს მხოლოდ ...უნდა მივიჩნიოთ სამარცხვინოდ, რომ ...ეს შორის „ქართვლის დედას“, რო-...ლსაც პოეტი ემუდარებოდა, ქეშმარი-... ნილი ალუზარდე შვილსაო, ალუზრ-... უჰეროსტრატესი ჰეროსტრატი, ...მელმაც ეს ისტორიული ფაქტი ჩაი-...და ამით მთელი ჩვენი თაობა, მთე-... ჩვენი ერი სამარცხვინო ბოძს მიაკრა ...ში და ამა მითხარით, სთქვით, ...ასეთ თაობას, დღეს არსებულ ჩვენს ...თველობას უფლება ექნება, ნამუსი ...ცემს ნებას, რომ ილიას მოღვაწეობა-..., იმის ღვთაებრივ მადლზე კრინტი ...სძრას, სიტყვა დაძრას!.. ვაი ჩვენ!.. ...ბლი, შუბლი მოვიდრიკოთ და სიტყვა, ...ულვას სათქმელად მობჯენილი, ყულ-... ჩავიხრჩოთ.

ი. ფანცხავა.

—

...ქართველებო! აი, ამ ადგილს დახუჭა ...რთველების დიდებულმა მწერალმა თვა-...ბა*); აქ ამოიკვნესა უკანასკნელად ...მა გულმა; ამ ადგილიდამ უკანასკნე-... შეხედა ილიამ თავის სამშობლოს ...ას... როგორი მადრიელიც იქნებოდა ...ამ დროს თავის ერისა—ამაზე მეტია ...პარაკი... თქვენ, ამ არე-მარის მცხოვ-...ებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ ...ბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლ-...ან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ. ...ა ვართ ქართველები, წარმომადგენლე-... საქართველოს ყველა კუთხიდან, მა-...ასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ილია ...ცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ ...ქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა ...ლს საქართველოს, მთელს ერს, ყვე-... ქართველს. იმან დაგვდო ამგვი ყვე-

*) ეს სიტყვა მკვლელობის ადგილას იქმნა ...თქმული.

ლას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნე-ბა ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაი-საკუთრა, რომ იგი ანაცვალა თავის ქვეშუდან გრძნობას? არავითარი! ვე-რაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთე-ლი საქართველოს მამა—მოძღვარი!

წეღან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაო. ეს ძალიან კარგი. დეე, იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქვე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი-მოძღვარი და საქართველოს მგო-სანი“!

ძმებო! ყველა თქვენგანს ჰყოლია მა-მა, რომელიც გაცმევდათ, როცა გცი-ოდათ, გაჭმევდათ, როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის, მაშ მიუშვირეთ თო-ფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებთ თქვენს მამაზე ხელს? არავინ?! მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვარ-თმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული. იყოს წყეუ-ლი!).

ირ. ევდოშვილი.

—

დაუვიწყარო მამულის-შვილო, ილიავ! შენი ჭირის-უფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია? არა, შენი ჭირთა-უფალი მთელი შენი სა-ტრფო ქვეყანაა, სამშობლო—კახეთიდან დაწყებული შავ-ზღვამდის. ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბო-ება და ყველა სასოებით და სიამაყით იხ-სენიებს შენს სახელს. ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, სადაც ბავშვს შენი „აყვა-ვებულა მდელო“ არ ეკითხოს და მოზრ-დილს „მკრთალი ნათელი და „ჩემო კა-რგო ქვეყანა“ არ ემღეროს.

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულ-ჩამწარებულმა, შორებუ-ლმა საქართველოს ქალაქმა ფოთმა დაფ-ნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ რომლისა მარჯვენისა ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელ'ანცა „კაცია-ადამიანი“ სთქვი, „გლახის ნაამბობი“ გვიამბე, „თავდადებული“ შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული „შუბლი გან-დეგილისა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი „მამულო საყვარელო, შენ როს-და აყვავდებიო“ და მთელი შენი სი-ცოცხლე ამ მამული აყვავებას მსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია. ნეტაი გაგე-გონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერ-ლობისა, რომელიც ასტეხა შენმა მკვლე-ლობამ, რომ დამტკბარ იყავი იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატოვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ გვასწავლე ქართული ენა. შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფ-ვა“, „თვალთა ხედვის ისარი“. შენ შეგ-ვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდ-მუხასთან პატარა ია რომ ყვავო-დეს, ვის რა უნდაო“, გააგონე შენ მა-მულის მტრებს. სამეგრელოს ჩამოშორე-ბა რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და მედგრად გა-მოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდა-წმიდათას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარ-მეტყველურ სიტ-ყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა. ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კა-ცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლო ენა არა სწამდეს, ამისი სმე-ნაც კი ეჩოთირება ჩვენს ყურს, რომელ-შიაც შენ ორმოცი წელიწადი სულ სხვას ჩაგვძახოდი. ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გა-მოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი „ენა რა არის, მამული რას გვიქვიანო“. ვიმედოვნებთ, მოძღვარო, რომ ეს შე-ცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანი და შვილნი, ვითარცა უძღებნი შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩება ყველათათვის საუკუ-ნოდ თაყვან—საცემად, ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდე-ბელო დიდო მამულის შვილო.

იონა მეუნარგია.

...ქრო მწუხარედ
...ირ-ქვე დაეცა დადუმებული.
...დიდ ხანსა იგდო ეგრე მდუმარედ
...ულში ვაების ცეცხლ-მოდებული.
...მ. საწყალ შვილზედ კაკოც შეწუხდა,
...არივ წაიდო ერთმა ნაღველმა.
...ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
...წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

...საკვირველია, არც კაკო და არც ზა-...რო გახდა თავის სურვილით ყაჩაღად, ...ნი თავიანთ-და უნებურად გავარდნენ. ...გლახის ნაამბობ“-ში ილია მოგვით-...რობს იმას, თუ ჰარგი გულისა და გუ-...ების პატრონი ყმაწვილობაში დავითი ...როგორ იცვლება, როცა მამის სიკვდი-... შემდეგ მებატონედ გახდება. იგი ...რ ინდობს თითქმის ძმურად შეზრდილს ...ბრიელს. ხელი მიჰყო ყოველგვარ სი-...ბაგლეს, როგორც, მაგალითად, ქალის ...წართმევას გლეხებისთვის, რაც ასე ჩვე-...ლდა ბატონ-ყმობას რა თქმა უნდა, და-...იკოსა და გაბრიელს შორის მეგობრო-... შესწყდა. მაგრამ მათი დამოკიდებუ-...ბა მაშინ უფრო გამწვავდა, როცა გა-...ბრიელმა დააპირა ცოლის შერთვა, ხო-...ლო დათიკომ, როგორც მებატონემ, ...თხოვა თავის უფლების გამოჩენა და ...უცხადა, რომ ქალი ბატონისაა, მზი-...ც იმან უნდა მისცეს, მაგრამ ამასთან ...ჯერ ბატონი უნდა დაესაკუთროს ...მერე გლეხი. ბევრს ევედრა გაბრიკ-... დათიკოს ჩამოხსნოდა გზიდან, ნუ ...ჰკარგვინებ შენს სიყვარულსაო, მაგ-... დათიკო გაჯიუტდა და დაუყვირა ...იელს: „ჯერ ჩემია-მეთქი, — მერე ...უნდა შენი იყოს, თუნდა სხვისა“. და ...კიდევ „როცა მე ჩემსას ავასრულებ, მე-... შენთვის დამილოცნიაო“. გაბრიელი ...უქრა ბატონს, დათიკომ კი დაცინ-... მიიღო ეს მუქარა: „ფუ, მაგისთა-...ლობასა! ფუ, მაგისთანა თა-...შვილისა“! ...

მა დათიკოს. „მაინც კიდევ გზას გიხოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წედ წაგაკლავ!-ო“ დათიკომ გაბ-რიელი დიამბეგთან წააყვანინა, ჩემი მოკვლა უნდოდაო. იგი ორი წელიწადი სატუსაღოში იყო. შემდეგ განაჩენი გა-მოუცხადეს რომ მას ხაროს სათხრელად, ხოლო პეპიას, იმის დანიშნულის მამას, საციმბიროდ ჰგზავნიან. გზიდან ორივე გამოიქცა, მაგრამ პეპია ვერ მიჰყვა. გაბ-რიელმა გზაზედ ერთი სომეხი ჩამოახტუ-ნა ცხენიდან და თითონ შეჯდა, გამოარ-თვა ფული, იარაღი და საჭმელი. გაბ-რიელმა ცხენზედ პეპია შესვა, მაგრამ პეპია გზაზედ ავად გახდა. როცა კვდე-ბოდა, ანდერძად დაუტოვა: თუ თამრო ნამუს ახდილი ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! თუ ეს ცოდვა იყოს, მე ამიღია კისრადაო. გაბრიელმაც შეჰფიცა. მივიდა ქალაქი-დან—ნახა თამრო. მან უამბო, რომ იგი ის თამრო აღარ არის. იგი ეხლა ავლა-ბრის უნამუსოა. „შემიბრალე და დამი-ტირე მე ბედშავი“! გაბრიელმა მოიშო-რა მკერდიდან თამრო და წავიდა დათი-კოს საძებნელად. იმალებოდა ტყეში ნა-დირსავით და აკი ნახა კიდეც და მიუხ-ტა დათიკოს. დასცა დამბაჩა და დასძახა: „წაგკალ თუ არა შენს უნამუსობას“. გაბრიელი დათიკოსგან იგებს, რომ მეინ-ვართან დაიხსნა ისინი მან და მაინც ბე-დის-წერას ვერ ასცდა. რაკი გაბრიელს კაცის-კვლა ვერ ასცდა, ის გადაიკარგა სამშობლოდან, მიჰყო ხელი ყაჩაღობას; მერე მოსწყინდა და დაიწყო გლახაობა. როდესაც მგოსანი მას შეჰხვდა და თავი-სი თავ-გადასავალი აამბობინა, გაბრიელი უკვე სიკვდილის პირას იყო.

(შემდეგი იქნება).

## გვირგვინები

—:—

განსვენებულის ილია ჭავჭავაძის კუბო შე-ამკეს ვერცხლის გვირგვინებით და ვერცხ-ლისავე ხატებით შემდეგმა დაწესებულებე-ბმა და პირებმა:

1. „მგლოვიარე კახეთისაგან“; „მშვე-ნება კახეთისა შენს დიად სულში გამოიხატა.

2. პეტერბურგის ქართველებისაგან: „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს.“

3. ბაქოს ქართველ საზოგადოებისა-გან: „აგვიოხდია სიყრმიდანვე ჩვენ ქართ-ვლის ბედმა, და ეგძრახონ ჩვენ, მის ძმე-ნითა დავლიოთ დღენი“.

4. სოხუმის ქართველებისაგან: ხელთ უქმნელი ძეგლი დაიდგი ყოვლის ქართვე-ლის გულში“.

5. ქუთაისის ქალაქის თვითმართვე-ლობისაგან: „მე კეთ სიკეთის მსურველე რწმენა ჭირში და ლხინში წინ მიმიძღოდა.“

6. კავკასიის ნამესტნიკისაგან: „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.“

7. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა-გან: „დიდებულ ქართველის თ. ილია ჭავ-ჭავაძის ხსოვნას.“

8. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნა-ურთაგან, გვირგვინი შავ ხავერდის ბალიშ-ზე ზედ ოქრომკედით ამოკერილ შემდე-გის ლექსით:

„ვაი რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
ერის მოღვაწე დიდება ქვეყნის მტრად მიგიჩნიესო
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს გაგათ-
რიესო,
მოგკლეს მხცოვანი უბრალოდ, ქვეყანა შეარყიესო
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გად-
გვანთხიესო,
ამას მოვთქვამთ დღეს ქართველნი ყრმანი, ქა-
...ნი, მხცოვანი,
ნუ შეგვშრენ ცრემლნი თვალთაგან და გულ-
...თა შენი ხსოვანი...

9. ქუთაისის საადგილ მამულო ბან-კისაგან:

„არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ
მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა,
არამედ მინდა გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს
ლახვარი მკრან,
გთხოვდე: შეუნდე არ იციან, ღმერთო, რას იქმან.

10 „კახეთის“ საზოგადოებისაგან: „თავდადებულ მამულისშვილს ილიას.“

11. ტფ. სათავად-აზნაურო ბანკისა-გან: „ბანკის დაუვიწყარ მოამაგეს თ. ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს“

12. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოსაგან: „დიდებულ პოეტს და მოღვა-წეს ილია ჭავჭავაძეს.“

13. ჭიათურის საურთიერთო ნდო-ბის ამხანაგობისაგან: „საქართველოს სია-მაყეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.“

14. ჭიათურის საზოგადოებისაგან: „თავდადებულ მამულისშვილს ილია ჭავჭა-ვაძეს.“

15. ქუთაისის ქალებისაგან: „შენი სიკვდილით დაობლდა ერი. ვისღა მივა-ნდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა.“

16 ქუთაისის ვაჭრებისაგან: „დიდე-ბულ მგოსანს და სახელოვან მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს.“

17. ჭავჭავაძეებისაგან: „საქართვე-ლოს უზორველეს შვილს, გვარის დამამშვე-ნებელს ილიას.“

18. დ. და მ. სარაჯიშვილებისაგან:

როდემდის უნდა არა ვცნობდეთ სიკვდი-
ლის ფასსა,
როდემდის უნდა არ ვსცემთ ღვთიურ ნიჭს
ღირს თაყვანსა.

19. სამეგრელოდან მოსულ ორ ბავშვს 6—ძეს, 5 წლის ვაჟს დევანს და 6 წლის ქალს მედეას გვირგვინის მაგიერად ხელში ეჭირათ გული ვერცხლისა, რომელსაც შუა-ზე ტყვია ეკიდა. ვერცხლის გულზე შემდეგი წარწერა იყო: „ვის არ რგებია უკვდავთა შორის, რომ შენ არ გრგებოდეს ბნელ ძა-ლებისგან“.

ვერცხლის ხატები იყო:

20. იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდი-საგან.

21. ქართლ-კახეთის სამღვდელოებისაგან: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

22. იმერეთის სამღვდელოებისაგან: „ცხოვრებასა აღასრულებს სული საქმით მეტყველი“.

ცოცხალ ყვავილების და ლითონის გვირ-გვინები იყო.

23. წ. კ. გ. საზოგადოებისაგან (ორი გვირგვინი): „საზოგადოების საპატიო წევრს და თავმჯდომარეს“.

24. ქართულ დრამატიულ საზოგა-დოებისაგან:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ
რომ წარუძღვე წინა ერსა.

25. ფილარმონიულ საზოგადოები-საგან: „გაჰსწყდა ის ხმა, გაჰქვავდა ენა, რომელმაც ერსა აუხსნა ენა“.

26. „ივერიის“ (1883—1893) თანა-მშრომელთაგან (გრ. ყიფშიძე, სოფ. მგა-ლობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, არტემ ფირალოვი, ალ. ყიფშიძე და არტემ ახნაზა-როვი): „შენი დიდი ნიჭი, მადლიანი კალა-მი, შენი წინამძღვრობა გვასულდგმულებდა და ნეტარებით ვმუშაობდით შენდა შევდო-მიდნი“.

27. „ისრის“ რედაქციისაგან: „დი-დებულ მგოსანს და ქართულ პრესსის მამათ მთავარს ილია ჭავჭავაძეს“.

28. „ჩვენი გზის“ რედაქციისაგან: „სახელოვან მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

29. „ნაკადულის“ რედაქციისაგან:

„აღარა გვყავხარ! უმღვთო იყო შენი სიკვდილი,
არა, დედმამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი,
ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და
ლხენა“.

30. „ჯეჯილის“ რედაქციისაგან: „ჯეჯილის პირველ ნომრის დამგვირგვინე-ბელს, „ბაზალეთის ტბის“ ავტორს“.

31. „ვოზროჟდენიე—ზაკავკაზიე“-ს რედაქციისაგან: „Пѣвцу Иверіи Ильѣ Г. Чавчавадзе“.

32. „ტიფ. ლისტოკის“ რედაქციისა-გან: „Ветерану Кавказской прессы“.

33. „მოლლა ნასრ-ედინის“ რედაქ-ციისაგან: Славному сыну грузинскаго народа“.

34. ს.-ფ. სარევოლიუციო პარტიი-საგან. „დიდებულ მგოსანს ილია ჭავჭავა-ძეს“

35. „მწუხარე ოსეთისაგან“: Безсмертному сыну Кавказа, поэту гражданину“.

36. ტფილისელ მაჰმადიანებისაგან: Славному поэту прекрасной Грузіи“!

37. რკინის გზის სოც.-ფედ. მუშე-ბისაგან:

ამა ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომისა სიტყვა,
მაშინ მაშვრალო შენც განკაცდები,
სხვას ძირს არ დასწევ თვით ამაღლდები,
არც ვის იმონებ, არც ემონები!

38. ბაქოს სოც.-ფედერალისტებისა-გან: „დიად ნიჭს, უგუნურების მსხვერპლად გამხდარს.

40. ქუთაისის პროფეს. კავშირების ცენტრალურ ბიუროსაგან: „დაუვიწყარ მგოსანს ილიას.“

ქალ. ბათუმისაგან: „Незобвенному пѣвцу родной Грузіи, не утомимому общественному дѣятелю Ильѣ Григор. Чавчавадзе.“

41. წიგნების გამომცემელ ქუთათურ საზოგადოებისაგან:

ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბედსა და მშვიდობას
ვეღარ მოუმართავ ხელსა.

42. ქართველ გამომც. ამხანაგობის სტამბის მუშების ერთი ჯგუფისაგან:

ვეღარ გაუძლებს ქვეყნის მოარცველი
ჭეშმარიტებით აღზრდილსა ბრძოლას
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
და ახალს თერგზე ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

43. ქართველ ქალთაგან:

აღარა გვყავხარ, უღვთო იყო შენი სიკვდილი,
ვინ უწყის რავდენ საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა.

44. „იდეალის“ სტამბის მუშებისა-გან:

აღვმართე სიტყვა საქადაგებლად
სიმართლისა და სიყვარულისა,
ყოველ ჩემ მოძმემ შეუბრალებლად
შემაგად დამიწყო სროლა მე ქვისა.

45. ტფ. წვრილ ვაჭართა პროფეს. კავშირისაგან: „დიდებულ შვილს ივერიი-სას ილიას.“

46. ბათუმელ ქართველებისაგან: „მაგ სიკვდილით დაობლდა ერი.“

47. ენისელის გლეხობისაგან:

ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა;
ჩვენს ბედსა და უბედობას
ვეღარ, მოუმართავთ ხელსა.

48. დილმელ გლეხებისაგან:

ჩვენი წადილი და ჩვენი ბედი
ყოველთვის არის, ძმაო, საფრთხეში.
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში.

49. ქუთ. ქართულ გიმნაზიის მო-წაფეთაგან: „დიდებულ მგოსანს და საზო-გადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს“.

(შემდეგი იქნება).

## ახალი ამბავი

✦ **მამულის ყიდვა.** დროებით ვა-ლდებულნი გლეხნიც შეუდგნენ მამულის ყიდვას. აქამდის უფრო სახაზინო გლე-ხობა ეტანებოდა მამულს. გუშინ ბრე-თის საზოგადოების რწმუნებულებმა იყი-დეს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკზე დარჩენილი მამული 65 დესეტინა 2400 მანეთად. დესეტინა მოდის ასე 34 მ. დამტკიცების ხარჯიც ბანკისაა. ნასყიდო-ბის ფასი, 2400 მან. (2250 მან. ფასი და 150 მ. ხარჯი) სოფელს ჰქონდა შე-ნახული სასოფლო-სამეურნეო თანხად, ასე რომ ჯიბიდან ერთი შაურიც არ დაჰხარჯვიათ, ან კი რა უნდა დახარჯოს, რომ სოფელი გაწყალებულია. ქანანო-ვისეულ მამულის ყიდვასაც აპირობენ.

✦ **პოლიტიკური საქმე.** ორშაბათს, 10 სექტემბერს, ტფ. სამოსამართლო პა-ლატამ დაიწყო გარჩევა ტფ. ფოსტა-ტე-ლეგრაფის მოხელეთა საქმისა. სამართალ-ში მიცემულია კონს. გორკი, კონსტან-ტინე პაული, სიგიზმუნდ შური, ალექ-სანდრე შაიკოვი, მიხეილ გერმანიშვილი, იოანე საყვარელიძე, არშაკ ტერ-ისრაე-ლიანცი, სოლომონ ალიხანოვი, ალექ-სანდრე ხაზანიანცი, იროდიონ რცხილაძე, ალექსანდრე კვერკველაძე და თომა ნა-სიძე, რომელთაც ჰბრალდებათ 1905 წელს პოლიტიკურ გაფიცვის მოხდენა. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები მ. ო. გრუზენბერგი, ბროდსკი, ი. მ. დოლუხანოვი, ნ. ზ. ელიავა, ტ. ტერ-იოანესიანი და მეჟუევსკი. ამ საქმის გა-მო დაბარებულია 150 მოწმემდე, ასე რომ საქმის გარჩევა გასტანს რამდენსამე

დღეს. ბრალდებულთაგან ზოგი თავდებ ქვეშ იყო გამოშვებული.

✦ **ახალი გუბერნატორი.** ტფილისის გუბერნატორად დაინიშნა საეროზო მეურნეობის მთავარ განყოფილების გამგე სტ. სოვ. მიხეილ ალექსანდრეს ძე ლიუბიჩ იარმოლოვიჩ-ლოზინო-ლოზინსკი.

✦ **დაჭრა.** ბაგრატიონის ქუჩაზე ზაქარია ლომიძეს ვიღაც უცნობმა კუთხიდან რევოლვერი ესროლა და გვერდში დასჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს მცხეთელი ილია მაჩხანელი, რომელსაც ჰბრალდება სახლის პატრონის თარხან მირზაიანცის მოკვლა. იგზავნებიან სამხედრო წესების მოხსნამდე: პერმის გუბერნიაში ა. არუთინოვი და მეარღნე მიხეილ ჯავაროვი; ვიატკის გუბერნიაში: მიხეილ გელაშვილი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ: ნ. სოუნოღლის, აგინ ისმაილ-ოღლის, მინა ფარეიშვილს, ვლად. შავთვალაშვილს, არტიმ ბაქრაძეს და ვიქტორ ბაქრაძეს. დააჯარიმეს: „ღვორც ნომ.“ პატრონი, მედუქნე გ. ლოპაჩი, ნატ. გურგენბეკოვისა, მ. მარტიროზოვი, ალიხანოვი.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო მესამე შევსებული გამოცემა არ. ქუთათელაძის „წყარო“, წიგნი II, რომელიც 390 გვერდეს შეიცავს და ღირს 50 კაპ.

✦ 7 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ გრიგორ გონიაევს თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. გაიტაცეს 900 მან.

✦ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ახალი ნომრები: № 9 (მოზრდილთათვის). შინაარსი: „სპარსეთის ქართველობას“, ლექსი; „პირველი სამოვარი“, თ. რაზიკაშვილისა; „ორი სურათი“, ნინო ნაკაშიძისა; „პატარა მენახირე“, თარგ. შ. დადიანის; „გულადი ქალი“, თარგ. ი. ანთაძესი; „საქართველოს ისტორია“, დ. კარიჭაშვილისა; „სინათლე და მისი მნიშვნელობა“, ი. მოსეშვილისა; მითოლოგია, ა. მიქაბერიძისა, ანდაზები და გამოცანები. ამ ნომერს თავში ჩართული აქვს მგოსნის ილია ჭავჭავაძის სურათი და ორი ლექსი—ა. შანშიაშვილისა და ევდოშვილისა. № 17 მცირე წლოვანთათვის. შინაარსი: ლექსი დ. თომაშვილისა, „ბაბო და ფეფიკო“, მოთხრობა ნინო ნაკაშიძისა; „ისამანი“, თარგ. მ. დემურიასი; „გულწრფელი საჩუქარი“, სომხურ. თარგმნილი ფ. კ—სა; „ხარბი მეფე“, ზღაპარი გერ. ხაჟისა; ამოცანები და რებუსი.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილის მწერალს, როდესაც იგი დილის 7 საათზედ სამსახურში მიდიოდა, ვიღაც კაცმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა. უცნობი მიიმალა.

✦ მილიუტინის ქუჩაზე 8 სექტემბერს ვასილ ნათაევსა, სერგო სემიონოვსა და თედორე პოლოზინს ჩხუბი მოუვიდათ. პოლოზინმა ნათაევი და სემიონოვი დანით დასჭრა.

✦ 10 სექტემბერს საღამოს 7 საათზე პოლიციელებმა დააპატიმრეს იასონ ჩაჩანიძე, რომელსაც სადღაც ნივთები მოეპარა და მიჰქონდა.

✦ 8 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, პოლიციამ დააპატიმრა ვასილ ლობაჩევი და ივანე ბელიუკი, რომელნიც ელისაბედის ქუჩაზე დემიჩევისა და პავლენოვის სახელოსნოში შესულან და მოუპარიათ 50 მანეთის იარაღი.

✦ კვირას, 9 სექტემბერს, ეტლით მიმავალთ კარაპეტ მეჩურიანცსა და ტიგრან ნიაზიანცს თავს დაეცნენ შეიარაღებულნი უცნობნი და ფული მოსთხოვეს. წაიღეს 8 მან. 50 კაპ. და მიიმალნენ. პოლიციამ დააპატიმრა ივანე დავიდოვი, ალექსი დეევი და იოსებ ჩარექოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ თითო რევოლვერი. დაპატიმრებულნი საკომენდანტოში გაჰგზავნეს.

✦ 9 სექტემბერს, დილით 12 საათზედ, მეტეხის ქუჩაზე არტემ ხაჩატუროვსა და დავით ოქრუაშვილს ჩხუბი მოუვიდათ. ოქრუაშვილმა რევოლვერი იძრო და, პოლიციის ცნობებით, უნდოდა ხაჩატუროვისათვის ესროლა, მაგრამ მალე რევოლვერი წაართვეს და დააპატიმრეს. ოქრუაშვილს ნებართვა იარაღის სატარებლად არ აღმოაჩნდა.

✦ ბოტანიკურ ქუჩაზე, ვექილოვის სახლში, ვარლამ შათირიშვილის შინიდან 10 სექტემბერს მოიპარეს 123 მანეთის ნივთები. ეჭვი განაცხადეს მეეზოვე ალი მამედ ასან ოღლიზე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ 10 სექტემბერს, ბაგრატიონის ქუჩაზე, სოსინის სახლში მცხოვრები ალექსანდრე ხომარდანოვი დაბრუნებულ ყო საღამოთი სახლში და ენახა, რომ მისი ბინის ფანჯარა და დარაბები ჩამტვრეული იყო. როცა სახლში შესულა, უცნობი ფანჯრიდან გადამხტარა. ქურდი აღმოჩნდა ილია ბრეგვაძე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ 10 სექტემბერს, ღამე, ვ...ქის დიდ ქუჩით მიდიოდა პავლე მათვეევი. მას თავს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. წაართვეს 103 მან.

# დეპეშა
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**გორი.** 10 სექტემბერს საღამოს 7 ს. ვიღაც ბოროტ გამზრახველება დასჭრეს მახვილით ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი სერგეი კოროლიევი და გორის სატუსაღოს ზედამხედველი იაკუბაიტისი. პირველი თავში, მეორე ყურში. ამ საქმის გამოსაძიებლად მოვიდა სასამართლოს ბრალმდებელი ბრანდორფი.

# ხოლერა

**ტომსკი.** ნოვო-ნიკოლაევსკში ხოლერით ავად გახდა 15, გარდაიცვალა 6.

**უფა.** მატარებლიდან ჩამოყვანილ ავადმყოფს ხოლერა აღმოაჩნდა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; გუბერნიაში სენის გაჩენიდან ავად გახდა 302, გარდაიცვალა 133.

**სიმბირსკი.** მთელ გუბერნიაში 9 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2.

**პენზა.** გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშრად იქნა გამოცხადებული.

**სარატოვი.** ქალაქში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3. მაზრებში ავად გახდა 41, გარდაიცვალა 25.

**სამარა.** 9 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4; გუბერნიაში სენის დაწყებიდან ავად გახდა 310, გარდაიცვალა 169.

# დეპეშა
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## რუსეთში.

10 სექტემბერი.

**კამენეც-პოდოლსკი.** სოფ. რამულოვოში ეკონომიას ცეცხლი წაუკიდეს. წინა დღეს ეკკლესიის დღეობა იყო და ამის გამო მთვრალმა ხალხმა ცეცხლის მქრობთ ხელი შეუშალა, სცემა ბოქაულს, ურიადნიკს და რამდენსამე სტრაჟნიკს. მოვიდა მაზრის უფროსი ასის კაზაკით და მეთაურები დააპატიმრა.

**რიგა.** ალექსანდროვსკის ქუჩაზე ერთის სახლის გაჩხრეკის დროს პოლიციას სროლა აუტეხეს და მოჰკლეს ერთი პოლიციელი. მოჰკლეს მსროლელი და მასთან მცხოვრები ქალი. იმ სახლში იპოვნეს მაუზერი და ორი ბრაუნინგი.

**ჟიტომირი.** 10 სექტემბერს, დილის 8 საათზე, დაბა პრატკაში სამი კაცი დაეცა ურიადნიკს. ურიადნიკი დასჭრეს. გლეხები გამოუდგენ თავ-დამსხმელთ. უცნობებმა დასჭრეს ექვსი კაცი. ერთი უკვე გარდაიცვალა. სამივე შეიპყრეს. მაგრამ გლეხებმა ისე სცემეს, რომ სამივე მოკვდა.

11 სექტემბერი

**კალუგა.** კალუგაში, მალოიაროსლავცში, მედინში, ბოროვსკში, ჟიზდრაში, ლიხვინში, ტარუსაში, კოზელსკში, მასალსკში, პერემიშლსა და მეშევსკში მემამულეებმა აირჩიეს 95 რწმუნებული. იმათგან 14 ოქტომბრისტია, 4 კადეტი, 6 თავისს თავს მონარქისტად სთვლის, 7 მემარჯვენე, 26 უპარტიო მემარჯვენე, 1 ზომიერი, 7 უპარტიო, 18 თავისს თავს მონარქიულ პარტიას აკუთნებს, 2 უპარტიო მემარცხენეა, 11 ვინაობა არ იციან.

**კიშინიოვი.** იზმაილოვსკის, ბენდერის, ბელეცკის და სოროვკსკის მაზრებში მემამულეების არჩევნები არ შესდგა, რადგან ცენზიანები არ გამოცხადდნენ. ორგეევსკის, კიშინევსკის და ხოტინსკის მაზრებში აირჩიეს 18 რწმუნებული, ამათგან 17 მემარჯვენე და 1 მემარცხენე.

**ვლადიმირი.** ვლადიმირის, ალექსანდროვსკის და მელენკოვსკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 86 რწმუნებული: 1 კადეტი, 6 ს.-დემოკრატი, 27 მემარჯვენე, 31 უპარტიო, 3 მონარქისტი, 4 მემარცხენე, 14 ვინაობა არ იციან. იმავ მაზრებში მუშებმა აირჩიეს 16 რწმუნებული: 12 მემარჯვენეობს, 2 მემარცხენეობს; ორის ვინაობა არ იციან.

**რეველი.** 114 ვოლოსტში აირჩიეს 228 რწმუნებული. 109 მემარჯვენეობს; 71 უპარტიოა, 11 მემარცხენეობს, 37 ვინაობა არ იციან.

**პოლტავა.** პოლტავის მაზრაში გლეხებმა აირჩიეს 20 რწმუნებული. ამათგან 1 ს.-დემოკრატია, 17 უპარტიო მემარჯვენე, 2 უპარტიო მემარცხენე.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის, ნოვოლადოგის, პეტერგოფის, ცარსკოე სელოს, შლისელბურგის და იამბურგსკის მაზრებში მუშებმა აირჩიეს 23 რწმუნებული. ამათგან 2 ს.-დემოკრატია, 4 უპარტიო, 9 უპარტიო მემარცხენე, 8 მემარცხენე.

**კამენეც-პოდოლსკი.** ლეტიჩევსკის, ვინიცკის და კამენეცკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 64 რწმუნებული. იმათ რიცხვში 2 რუსთა კავშირის წევრია. დანარჩენთა ვინაობა ჯერ არ იციან.

**პენზა.** მოკშანის და ჩემბორის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 92 რწმუნებული; ამათი ვინაობა კარგად არ იციან; მოკშანის მაზრაში არჩეულთა უმრავლესობა თავისს თავს უპარტიოდ აღიარებს, ჩემბორცლები კი მონარქისტობენ. არჩეულთა შორის ყოფილი წევრი ტიმოშინიც ურევია, რომელიც გადასახლებულია.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სემენოვსკის და ლუკიანოვსკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 57 რწმუნებული. ამათგან 33 მემარჯვენეა, 15 უპარტიო, 1 კადეტი, 8 მემარცხენე.

**ვლადივასტოკი.** ხაბოროვსკის ოლქში გლეხებმა აირჩიეს 6 რწმუნებული. ყველანი უპარტიონი არიან.

**ვლადიმირი.** პერეიასლავის, სუდოგოდსკის, პოკროვსკის და კოვროვსკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 122 რწმუნებული, ამათგან 6 კადეტია, 3 მშვიდობიან განახლების პარტიის წევრი, 12 ს.-დემოკრატი, 40 მემარჯვენე, 2 პროგრესისტი, 4 უპარტიო, 51 თავს მონარქისტად აღიარებს, 1 მემარცხენე, ორი უპარტიო მემარცხენე. ერთის ვინაობა არ იციან.

**კიშინიოვი.** ბელეცკის და ბენდერის მაზრებში აირჩიეს 34 რწმუნებული, იმათში 14 მემარჯვენეა, 19 უპარტიო, 1 მემარცხენე.

**ტვერი.** კალიანზინსკის და ბეჟეცკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 84 რწმუნებული. ამათგან 57 მემარჯვენეა, 27 მემარცხენე. არჩეულთა შორის ურევია წევრად ნამყოფი ტოლმაჩევსკი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის, გდოვსკის, ნოვოლადოგის, პეტერგოფის, ცარსკოსელსკის და შლისელბურგსკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 144 რწმუნებული, იმათგან 1 შრომის ჯგუფის წევრია, 22 ზომიერი, 42 უპარტიო და 73 მემარცხენე.

ლუგსკის, ნოვოლადოგის, პეტერგოფსკის და ცარსკოსელსკის მაზრებში მესაკუთრეებმა აირჩიეს 19 რწმუნებული; ამათგან 5 კადეტია, 4 მემარჯვენე, 3 უპარტიო და 3 ზომიერი. 4-ის ვინაობა გამორკვეული არ არის. ისინი ოქტომბრისტების სიაში არიან ჩაწერილნი და თავიანთ თავს პროგრესისტებს უწოდებენ. გდოვისა, შლისელბურგისა და იამბურგსკის მაზრებში არჩევნები სულ არ მომხდარა.

**ვინდავა.** ვინდავის მაზრაში, გლეხებმა აირჩიეს 22 რწმუნებული: 5 კადეტია, 4 თავის თავს აღიარებს სოციალისტად, 8 ზომიერია და 5 უპარტიო.

**უფა.** უფის მაზრაში გლეხებმა აირჩიეს 64 რწმუნებული. 12 კაცის არჩევანი უკანონოდ სცნეს. დანარჩენთაგან 6 მემარჯვენეა, 4 პროგრესისტი, 41 უპარტიო, 1 მემარცხენე.

**სარატოვი.** ყველა მაზრებში (გარდა ვოლსკის მაზრისა) სამღვდელოების კრებაზე აირჩიეს 100 რწმუნებული, ამათგან 3 კადეტია, 85 მემარჯვენე, 3 უპარტიო და 9 მემარცხენე.

**ბელცი.** მეხოვსკის და სტოპნიცკის მაზრებში წვრილ მემამულეებმა აირჩიეს 10 რწმუნებული, ამათგან 8 ნაროდოვცია, 2 უპარტიო. არჩეულთა შორის არის მეორე სათათბიროში წევრად ნამყოფი ბელიავსკიც.

**პერმი.** ჩერდინსკის, ორინსკის, კამიშლოვსკის, ირბიტსკის, სოლიკამსკის, ოხანსკის, პერმსკის, ეკატერინბურგსკის და ვერხოტურსკის მაზრებში არჩევნები არ მომხდარა. კრასნოუფიმსკის მაზრაში აირჩიეს 1 ოქტომბრისტი და 2 მემარჯვენე.

**ნოვოროსიისკი.** თუაფსეს ოლქში მემამულეთა არჩევნები არ შესდგა. სოჩის ოლქში აირჩიეს ერთი უპარტიო.

**კიშინიოვი.** ბელეცკის, ორგეევსკის, ხოტინსკის, იზმაილსკის და კიშინიოვის მაზრების მღვდლებმა აირჩიეს 45 რწმუნებული. ერთი მემარცხენეა, დანარჩენი მემარჯვენე. არჩეულთა შორის არის სათათბიროს წევრად ნამყოფი გუმაც.

**რეველი.** რეველში, ვეზენბერგში, ვეისენგამტეინში და გაპსალში არ შესდგა წვრილ მემამულეთა და მღვდელთა საარჩევნო კრება.

**სედლეცი.** ლუკოვსკის, სოკოლოვსკის და სედლეცკის მაზრებში მემამულეებმა აირჩიეს 63 რწმუნებული. ამათგან 28 ნაროდოვცია, 34 უპარტიო, 1 ს.-დემოკრატი.

**პენზა.** ნიჟნე-ლომოვსკის მაზრაში მემამულეთა საარჩევნო კრება არ შედგა. მღვდლებმა აირჩიეს 12 რწმუნებული, მათი ვინაობა გამოურკვეველია.

**სარატოვი.** ვოლსკის მაზრის სამღვდელოებამ აირჩია 5 რწმუნებული, ყველანი მემარჯვენენი არიან.

**ვლადიმირი.** კოვროვსკის, პოკროვსკის, სუდოგოდსკის და პერეიასლავსკის მაზრებში მუშებმა აირსიეს 58 რწმუნებული. 9 კადეტია 1 ს.-რევოლიუციონერი, 15 ს.-დემოკრატი, 5 მონარხისტი, 1 ზომიერი, 1 პროგრესისტი, 2 მემარჯვენე, 3 უპარტიო, 15 მონარხისტი, 5 მემარცხენე. ერთის ვინაობა გამორკვეული არ არის.

**პოლტავა.** პერეიასლავსკის, პრილუგსკის, გადიაჩსკის და კრემენჩუგის მაზრებში მუშებმა აირჩიეს 9 რწმუნებული, ამმათგან 1 ს.-დემოკრატია, 1 ს.-რევოლიუციონერი, 6 უპარტიო მემარჯვენე, 1 უპარტიო მემარცხენე.

**ვიატკა.** ყველა მაზრებში მუშებმა აირჩიეს 57 რწმუნებული: 1 კადეტია, 3 ს.-დემოკრატი, 16 ს.-რევოლიუციონერი, 5 მონარხისტი, 1 მემარჯვენე, 3 ზომიერი, 1 პროგრესისტი, 19 უპარტიო, 8 ვინაობა გამოურკვეველია.

**რეველი.** მუშებმა აირჩიეს 8 რწმუნებული: 1 ოქტომბრისტი, 2 ესტონურ-პროგრესიულ პარტიის, წევრი. ერთმა განაცხადა; კადეტებზე უფრო მემარცხენე ვარო.

**ლოძი.** 10 სექტემბერს დილით დახვრიტეს 8 მუშა. იმათ ზილბერშტეინის მოკვლა ჰბრალდებათ.

ზავოდსკის ქუჩაზე უცნობებმა მოჰკლეს მუშა.

ზამკოვაი ქუჩაზე დღესასწაულსსაგამო სადილი ჰქონდა გამართული ერთ ებრაელს. ვიღაც უცნობებმა სროლა ასტეხეს და მოჰკლეს ოჯახის პატრონი მოხუცი ებრაელი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს გახსნას 60 საქალაქო ტიპის სასწავლებელი. ეს სასწავლებლები პირველ დაწყებითი სკოლების გაგრძელება იქნება. ამ სასწავლებლებს სოფლებშიაც გახსნიან.

**ვარშავა.** „ოხრანნი“ განყოფილებამ შეიპყრო სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატების მუშათა პარტიის ბეჭდვითი სიტყვის კავშირის ბიურო.

**უმანი.** დაიწვა სვიატოპოლკ-მირსკის წისქვილი ს. ჩაუსაში. ზარალი ნახევარ მილიონ მანეთზე მეტია.

**ყაზანი.** ქალაქის მახლობელ სოფელ გორკში სამი მძარცვავი შეიჭრა საარყე დუქანში. მოჰკლეს სტრაჟნიკი და წაიღეს 17 მანეთი. ერთი მათგანი დაიჭირეს.

**სიმფეროპოლი.** ევპატორიის მაზრაში თავის სახლში მოჰკლეს და გაძარცვეს მემამულე ბეხტოლდი, მძიმედ დასჭრეს მისი მსახური.

**ლუცკი.** ქალაქს მახლობლად შეიპყრეს საზღვარ-გარეთიდან გადმოსული ურემი, სავსე ბრაუნინგებით, ასაფეთქებელი მასალებით და ყუმბარებით.

## უცხოეთში

10 სექტემბერი.

**ტანჟერი.** მულეი გაფიძმა სახელმწიფოების წარმომადგენლებს ეპისტოლე გაუგზავნა, სადაც ამბობს, რომ სამხრეთ მაროკოს სჯულის მასწავლებლებმა მსწავლულებმა სულთანად გაამოაცხადეს თანახმად ყურანის ბრძანებისა, რადგან ადრევე შეამჩნიეს სულთანის უვარგისობა და უნიჭობა მართვა-გამგეობის საქმეშიო. ევროპიელებს და მათ ვაჭრობას უზრუნველ ვყოფ იმ ადგილებში, სადაც სულთანად მცნობენ. გარეშე საქმეთა მინისტრს სიაბდელკებირს ვანდობ მიიღოს საჭირო ზომები, რომ ევროპის სახელმწიფოებმა სულთანად მცნონო.

**ქაირო.** მეგვიპტელთა 116-მა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ჰასან-ფაშის თავმჯდომარეობით დააარსა სახალხო პარტია, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ ავტონომიის მოპოვებას და ხელი შეუწყოს ქვეყნის აყვავებას. ჰასან-ფაშა საკანონმდებლო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტია.

**სტამბოლი.** სულთანმა ირადე გამოსცა: აღკძალულია პურის გატანა ოსმალეთიდან. შემოტანა კი უბმეოდ შეიძლება.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.


# განცხადებანი

**დეკანოზის ნ. ყუბანეიშვილის** მიერ შედგენილ-გამოცემული წიგნები:

1. „პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე“. ამ წიგნში ოთხი განყოფილებაა: ა) ლოცვები, ბ) ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმო და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მიღებულია სასწავლო წიგნად (учебникомъ) იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებში; ხმარობენ ზოგ სამოქალაქო და სამინისტრო შკოლებში, ღირს 20 კაპ.
2. „გზა ცხოვრებისა“, 30 კაპ.
3. „კაიაფას ვაჟიშვილი,“ 50 კ.
4. „მესამე ოქრო“, 5 კაპ.
5. „ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი“, ნათარგმნი პროფესორის ანატოლ ლერუა ბოლიეს წიგნიდან, 15 კ. ეს წიგნები იყიდება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების წ. მაღაზიაში; ქუთაისში ვ. ბეჟენეიშვილის წ. მაღაზიაში. გარეშე ადგილებიდან შეიძლება დაბარება ამ ადრესით: Кутаисъ. Протоіерею Нестору Кубанейшвили, ფოსტის ხარჯი მყიდველისაა. წიგნების მაღაზიებს და სოფლის მასწავლებლებს, ვინც ნაღდ ფულზე დაიბარებს არა ნაკლებ ათი მანეთის წიგნისა, დაეთმობა 20%. (3—კვ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
უოველ დღე, კვირეებს კარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. და ვენერიული (სიფილისი).

**ფ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერზინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—148)

# სავაჭრო სკოლა
ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა
(მთავრობის სასწავლებლის უფლებებით)

**იღებს მოწაფეებს.** სწავლის ფასი ნახევარ წელიწადში: ანბანის განყოფილებაში 20 მან. მოსამზად. კლასში—25 მან. 1-ლ კლასში—30 მან.

თხოვნების მიღება 1 სექტემბრიდან; ეგზამენები 10 სექტ., სწავლა 15 სექტ. (პირველ კლასში უეგზემენოდ მიიღებიან ისინი, ვისაც ორ კლასიანი სასწავლებელი აქვს გათავებული).

სავაჭრო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი სარგებლობენ ჩინის მიღების, პირად საპატიო მოქალაქის და სამხედრო ბეგარის გადახდის დროს შეღავათის უფლებებით

საბუხჰალტრო კურსები

ორივე სქესისთვის. ფასი 45 მან. კურსში. ადრესი: კუკია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 13. (5—292—5)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.